



შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (9.908)

21-28 დეკემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ყველი და რძის პროდუქტები ირანული რძისბან: რა საფრთხეს შედგენ ქართული შერემები?

გვ. 3



ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა



საუბრი


სამკაულეები

გვ. 7



ტოლერანტობა-თმენა თუ ბააზრება?

გვ. 5



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 20 დეკემბერს 2020 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. მას ასევე ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის სამსახურების ხელმძღვანელები. მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტს მხარი საკრებულოს 19-მა წევრმა დაუჭირა. საკრებულოს ოპოზიციამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო და არც ბიუჯეტის თაობაზე შენიშვნები არ ჰქონია. მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ

ჯანიაშვილი ბიუჯეტს დადებითად აფასებს და ამბობს, რომ ის სოციალურად ორიენტირებულია. „როდესაც 8 მილიონიანი ბიუჯეტიდან, 4 მილიონი ლარი მიმართულია სოციალურად დაუცველების საკითხების მოგვარებისკენ, ასევე საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა პირობების გაუმჯობესებისკენ, ახალგაზრდობის კულტურული და სულიერი აღზრდისკენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია“. საკრებულომ მიიღო დედოფლის-

ყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამა და ბიუჯეტი. დედოფლისწყაროს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის არსებული პრობლემების შესწავლის მიზნით საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ ხუციშვილი უხელმძღვანელებს.

გიფგვით საახალწლო ზემიზე

30 დეკემბერს, 18 საათზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი გინვევით ცენტრალურ მოედანზე, მთავარ ნაძვისხესთან, საახალწლო კონცერტზე. ჯგუფი „ეგარის“ საახალწლო პროგრამა და მოცეკვავე ფრიდონ სულაბერიძე. ახალი კლიპის პრეზენტაცია და ბევრი სიურპრიზი. გთხოვთ მობრძანდეთ და ერთად შევიქმნათ საახალწლო განწყობა.



სიყვარული თუ სიძულვილი?

მე ლუკა ვარ, 15 წლის.
 მე ის ვარ, კარამ სკოლიდან საჯაროში რომ გადავიყვანეს.
 მე ის ლუკა ვარ, 15 წლის ასაკში უკვე პრობლემაზე რომ დაგვალა.

მე ის ლუკა ვარ, ჩემი პირადი "პრობლემა" რომ გამოვთქვი ნარეხით-„ამ ცხოვრების დედაც!“
 მე ის ლუკა ვარ, რომელსაც მოსამინე სჭირდებოდა, თქვენ კი არ მოსამინეთ.
 მე ის ლუკა ვარ, რომელსაც შველა სჭირდებოდა, თქვენ კი ბანირით.

მე ის ლუკა ვარ, თქვენი დაუღებორობითა და არაკომუნიკაციონალიზმით დღეს რომ სიცოცხლეს ვებრძვი.
 მასწავლებლო, მე ხომ შეგიძლია, შეგიძლია რომოვლაც პრობლემა გამოვხატა ამ ცხოვრებაზე. შეიძლება ეს იყო არასწორი გზა, მაგრამ იმ დამს მე ბედნიერი ვიყავი, ბედნიერი ვიყავი რადგან მე ეს შეგიძლია. ვფიქრობდი, რომ მივხვდი. ვფიქრობდი რომ მიზნებს გამოიკვლიე, მაგრამ ვაი, რომ ყოველთვის შედეგით ვინტერესდებით და არა მიზნებით.

მე ლუკა ვარ, 15 წლის.
 მე გავივი ვარ, რომელსაც ვერ გაუძლო დაბრუნების უნარი მიღებულ ფსიქოლოგიურ სტრესს.
 მე ლუკა ვარ, რომელიც სკოლის კედლებზე გაკეთებულ ნარეხში გავხვალთ.
 მე გუჟინ თვითმკვლელობა ვსცადე, მე დღეს სიცოცხლეს ვებრძვი...

მე ლუკა ვარ, მაგრამ მე დახმარება ვითხოვ და არა დასაბრუნება.
 ლუკას თვითმკვლელობა შეძრა მთელი ქართული საზოგადოება. ამ ტრაგიდიამ ერი გააერთიანა. სა-პროტესტო აქციებზე მიიქცა არა მარტო დედაბაბა, არამედ რამდენიმე...

ამ დღეებში გვირბა გაცნობიერა, რომ მომავალი თაობის სწორად აღზრდა მთელი საზოგადოების ამოცანაა უნდა იყოფი და არა მხოლოდ ერთი, რომელიც სემინარის-სკოლის ან ოჯახის.
 ერთი შეხედვით მოკვლეული ფრაზა-სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, კვლავ ერთიანი რომ უნდა იყოს მოზარდის აღზრდისას, ამაში არაერთხელ დაგვარჩევნა იმ მოვლენებზე, რომლებიც მრავალ დროს ატოვებს სტატუსს.

შეგვა ამონაშვილი, ფსიქოლოგი:
 „მშობლებო! ნუ მოსთხოვთ სკოლას მხოლოდ ცოდნას, გაუმართეთ დიდი დიდი. ახლანდელი დედებისა და მამების ცნობიერება ძალიან გაფართოებულია. მათ შეიძლება შედეგად გაეცინათ დიდი წარმოდგენა ჰქონდეთ, ვიდრე ზოგიერთ მასწავლებელს.“

ჩვენ სკოლიდან დღეობით გავაძევეთ! მასწავლებელს ვეკითხებით, როგორ სწავლობს ჩვენი შვილი. არადა, უნდა ვეკითხებოდეთ, როგორი ადამიანი იზრდება ჩემი შვილი? ორიანები და ხუთიანები არ ქმნიან ადამიანს. პირიქით, აუბედურებენ. ხუთიანებზე დამოკიდებული ადამიანი დალუპულია.

ბავშვები არ არიან მოსიარულე ციფრები 1-დან 10-მდე. ნიშნებს არ მიაქცივთ ყურადღება და არ დაიხაროთ გული. არც ხუთიანები შეიძლება იტრაბახოთ. გავა დრო და ზოგიერთი ოროსანი უფრო ნინ ნავა, ვიდრე თქვენი ხუთიანები შეიძლება.

რასაც სკოლა ვერ აძლევს და არ აძლევს მოსწავლეს, იქნება თქვენ მაინც მისცეთ შეიძლება ოჯახში. სულიერება, კეთილშობილება, სიმშვიდე, სიხარული, მოთმინება და მომავლისკენ სწრაფვა, იქნებ თქვენ მაინც გაუჩინოთ. იმიტომ რომ სკოლა ამაზე არ აზროვნებს. იქ მხოლოდ ცოდნა, ჩვევები და შესაბამისი ნიშნებია.

თანამედროვე ბავშვი ვერ ეგუება ძველი ყაიდის მასწავლებელს. ის სულ სხვა გონებრივი და სულიერი განვითარებისაა. მას ცოდნა უფროს თავში და არ აკმაყოფილებს ჩვენი შეთავაზებული „აბა, დაფასთან გამოდი!“, „- აბა მაჩვენეთ ასო აააა“, „- გადავშალოთ საშინაო დავალების რეჟიმები!“ და ა.შ.

ბავშვს ყველაფერი შეუძლია. უსაზღვროა მისი შესაძლებლობები. თუ რამე შეხლუდავს მას, ჩვენი პედაგოგიკა. აკრძალვის, ვიფიქრებ პედაგოგიკა. ვზრდით ამ პირობებში და გვინდა ბავშვი ზრდილი და კეთილი გამოგვივიდეს. უნდა გავხსნათ ჩვენი პედაგოგიკისთვის განვითარების ალაყაფი.

ბავშვის თვალში მასწავლებელი არ დაამცირით, მა-

გრამ მასწავლებელთან „გახსენით ანგარიში.“
 ბავშვს ცუდი არ ელაპარაკოთ მასწავლებელზე, მაგრამ როცა პედაგოგთან იქნებით, სთხოვეთ, დაგანახოთ ჰუმანური პედაგოგიკა. აუხსენით, რომ ეს თქვენ გჭირდებათ მის შესაქებად. რომ დანეროთ მასზე. სთხოვეთ, მოგცეთ ამის შესაძლებლობა.

ხშირად უამბუთ შვილს თქვენს მასწავლებელზე, თქვენს ბავშვობაზე, რადგან ის ამ დროს თქვენში თავის თავს ხედავს.

გახსოვდეთ, რომ კლასიკური პედაგოგიკა ჰუმანურია! ამაში ის მოგონებაც გვარჩევნებს, ამ მოვლენებში-სას ჟურნალისტმა დათო ლიკლიკაჰამ რომ გაიხსენა:

„მე-9 კლასში ვიყავით. კვირა დღეს ბიჭებმა კლასელთან დავლიეთ. იქედან წამოსული გავიარეთ პირველ სკოლასთან და დირექტორის კაბინეტის ფანჯრები ჩავამსხვრიეთ უდიდესი ქვებით. ერთი ქვა კაბინეტში შევარდა და დირექტორის მაგიდაზე დადებული მინაც ჩავამსხვრია. სკოლის დირექტორი ალექო ბელთაძე იყო. შური ვიძიეთ უმკაცრეს დირექტორზე, რომელსაც სასწაული დისციპლინა ჰქონდა, ვერაფერს გამოაპარებდი. ავედეთ და „გავამწარეთ!“
 იმ ღამეს მშვიდად მეძინა. რაღაცნაირად პროტესტი სისრულეში მოვიყვანეთ და მეორე დღეს სასაბამო მონაწილეობაში ვიყავით, როცა სკოლის დირექტორი გაცოფებული იქნებოდა. თან დანაშაულის ყველა კვალი წაშლილი გვექონდა. კამერები მაშინ არ არსებობდა და ჩაბნელებული ქალაქი ჩვენს სასარგებლოდ მუშაობდა.“

მეორე დღეს ალექო ბელთაძე დილის 9 საათზე ჩვენს კლასში შემოვიდა და ზუსტად ის სამი ბიჭი გამოგვიძახა, რომლებმაც წინა ღამით მინები ჩავამსხვრიეთ. ვერ წარმოიდგინებ რა ბავა-ბუგი გაჰქონდა გულს როცა პირველი სკოლის უზარმაზარ დერეფნებში მივაბიჯებდით და მასწავლებლოს გავლით დირექტორის კაბინეტში აღმოვჩნდით. მინები უკვე ჩასმული იყო.

დირექტორი - აბა როგორ ხართ?
 -კარგად ბატონო ალექო (ყველანი ვითომ გაცოცხლებული ვართ)
 -ბიჭებო ცოტა დიდები რომ იყოთ სიამოვნებით დავლევდი თქვენთან ერთად
 -რამაი საქმე ბატონო ალექო? (კიდევ ვიოცებ და მხრებს ვიჩეჩი)
 -არაფერი... ძმაკაცობა მინდა თქვენთან. იცით როგორი თამადა ვარ?
 -იცით ბატონო ალექო, ისიც ვიცით გალაკტიონის 300 ლექსი იცით ზეპირად
 -ჰოდა ყოველ დღე, დილაობით შემოხვალთ ჩემთან და ლექსებს წავკითხავთ...
 -და ასე დავდიოდით მის კაბინეტში ერთი კვირა...ყოველ დღე. და თან გალაკტიონს ვეკითხავდა ყოველ დღე ზეპირად. ბოლოს გვეტყოდა- „ბიჭებო რაიმე ხო არ გაქვთ ჩემთან სათქმელიო?“, ჩვენ ცივ უარზე ვიყავით. არა არაფერი-თქო....

ბოლოს როგორც იქნა გამოვუტყდით და ბოდიში მოვუხადეთ....
 მეორე მასთან დავძმაკაცდით და დირექტორზე ვინმეს ცუდი რომ ვთქვა სასწაულს მოვწვევდით.

დღესაც ასე ვარ. ჩემს დირექტორზე ცუდს ვერავის ვა-თქმევილებ!

P.S. ისე სამივე ბიჭი ვინც ინციდენტში ვმონაწილეობდით ყველანი წარმატებული გამოვედით. არ დავიღუპეთ 90 იანებლებში, გადავრჩით კარგი დირექტორის წყალობით.“

დღევანდელი ვითარება შეაფასა მწერალმა რომ-ტომ ჩხაიძემ:
 „უფსკრული პირას... ჭვავის ყანაში...
 ჯერომ სელინჯერი თავისებურ სიმბოლოს შეგვიქმნიდა და პოლდენ კოლფილდის სახით და ერთგვარ იდეალდაც დაგვისახავდა ამ ალალ, წრფელ, გულმართალ ყმანვილკაცს, რომელიც ვერ ეგუება ყალბ რეალობასა და ფარი-სეველურ გარემოს.“

პოლდენისთვის კი თავისებური სიმბოლო ზნეობრიობისა და ძალადობისთან შეურიგებლობისა და ვო კასლია, რომელიც ვერ აიტანს ფსიქოლოგიურ ტერორს და ფანჯრიდან გადმოხტება.

და მას შემდეგ უნდა აეკვიტოს პოლდენს ეს ნატვრა: იდეალ ჭვავის ყანაში, უფსკრულის პირას და შეჭყურებდეს აურიათულულ ბავშვებს, რომელნიც, თამაშით გატაცებულნი, ხან ისე მიჰქრიან უფსკრულისაკენ, ვერ გრძნობენ მოსალოდნელ ხიფათს. და აი პოლდენი უნდა

გამოვარდეს, დაიჭიროს ბავშვი და შემოაბრუნოს თანატოლებისაკენ.

და მართლაც რა შეიძლება იყოს ბედნიერება წუთისო-ფელში, თუ არა ეს განცდაც და ცხოვრების წესიც:
 იდეალ უფსკრულის პირას, ჭვავის ყანაში, გამოჭყურებულ აურიათულულ ბავშვებს და გაფაციცებით ადევნებდე თვალს მათ ყოველ მოძრაობას, რათა არც ერთი არ მოახყდეს საზარელ უფსკრულს, დროზე მიუსწრო და შემოაბრუნო თამაშისაკენ, რომელშიც თავდავიწყებით ჩაბმულად მათი თანატოლები.

მაგრამ ვინ გვალბობს ამ ბედნიერებას...
 და მხოლოდღა უმწიოდ და სინანულით შევეყურებთ ტრაგიკულ რეალობას.
 და ცვივიან, ცვივიან უფსკრულში ბავშვები...“



იმისთვის, რომ ბავშვების სუიციდის შემთხვევა-ბი გაღამდები არ გახდეს, საჭიროა, არ მოხდეს ამ ფაქტების რომანტიზება-ამბოვან ფსიქოლოგიკა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ერთად უნდა ღვაწლით მომავალი თაობის სწორად აღზრდისთვის. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი უყვართ, მათ ენდობიან და ნებისმიერ შემთხვევაში მათ გვერდით დადგებიან, მხარში ამოუღებებიან და ნებისმიერ პრობლემაზე დაეხმებიან. და რაც ყველაზე მთავარია- მოზარდმა უნდა გააცნობიეროს, რომ ცხოვრება მშვენიერია. შეცდომა კი- შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს, მთავარია ამ შეცდომებზე ის ისწავლოს და გაიხაროს... თუ ბავშვმა იცის, რომ ის უყვართ, სჭირდებათ, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სიყვარულს უფრო დიდი სიყვარულით უპასუშოს!

ჩვენ ღმერთი მხოლოდ სკოლებიდან კი არა, ჩვენი გულგრილანაც გააქვივით!
 ახლა იმის შედეგს ვიხივთ, რაც წარსულში დაბ-ვიტისია.

იმდებ ახლა მინც მიხვდებით, რომ გადარჩენა სი-ქულვილსა ან სინანულში კი არა, სიყვარულშია!

„მოზარდი ემსხვერპლა გულგრილობას, უსამართლობას, იმას, თუ რა მაგალითს ვაძლევთ ჩვენ - ზრდასრულები. ზრდასრულთა სამყაროში ძალადობრივი ურთიერთობებია, რომელიც ტირაჟირებულია ყველა დონეზე, გინდა პარლამენტში შევიხედოთ, გინდა საკრებულოში, გინდა სკოლებში - სადაც ყველაზე დიდი პრობლემა არა მოსწავლეებს შორის, არამედ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორისაა; გინდა სოციალურ ქსელებში შევიხედოთ - ყველ-გან ურთიერთბრალდებები, შეუწყნარებლობა და აგრესია.“

ბავშვებიც ამას ხედავენ, ამას სწავლობენ. აქედან გამომდინარე იყო, საჯაროდ, მოზარდის საქციელიც (თუ ეს მან დატოვა წარწერები სკოლის კედლებზე) - მას არაფერი ისეთი არ გაუკეთებია, რასაც ყოველდღე არ აჩვენებს ზრდასრულთა ის სასტიკი სამყარო, რომელიც ჩვენ შევქმენით. პასუხად მიიღო კვლავ ის, რაც ჩვეულება ჩვენი საზოგადოებისთვის - გულგრილობა და ძალადობა“-ამბობს ფსიქოლოგი ჯანა ჯანაშენაშვილი.

15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალებამ საზოგადოება შეძრა.

მოზარდმა “მწვანე სკოლასთან” დაკავშირებული ინციდენტის და პოლიციაში დაკითხვის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა და ის იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში, მართვით სუნთქვაზე ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა.

გამოძიება, რომლის ფარგლებშიც სირაძე დაკითხეს, 10 დეკემბერს “მწვანე სკოლის” შიდა და გარე ტერიტორიაზე გაკეთებული წარწერების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო.

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, საქმის გამოძიებები ლუკასგან აღიარებითი ჩვენების მიღებას მასზე ზეწოლის მოხდენის გზით (ცილილოდნენ. თუმცა, როგორც ცნობილია ლუკას აღიარებითი ჩვენება არ მიუცია და უცნობია, ნამდვილად მან დანერა თუ არა სკოლის კედლებზე ფრაზა - “ამ ცხოვრების დედაც“.

მასალა მოამზადა
 ინბა შირლაშვილმა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ღრამ მწუხარებას გამოთქვამს 15 წლის ლუკა სირაძის ტრაგიკული ბარ-დაცვალების გამო.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ უმკაცრესად დაისჯება ყველა ის პირი, ვინც დაეხმება თუ სტატუსისა, რომლის მხრიდანაც რაიმე ტიპის დანაშაულის ჩადენის ფაქტს დაადასტურებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური - დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყება, რომლის შექმნასაც ჩვენ დაგუჭირეთ მხარი“.

პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ ყველამ ერთად, ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ტრაგედიასთან დაკავშირებით არავის დარჩეს კითხვის ნიშნები და გამოძიებამ პასუხის გარეშე არ უნდა დატოვოს არც ერთი შეკითხვა. გახარობს გამოძიებასთან სრულად თანამშრომლობა დაავალა შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროებს.

„რაც შეეძლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, განათლების თუ ჯანდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ არაერთი ნაბიჯი გადავდგით ამ მიმართულებით კა-

ნონმდებლობის თუ პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის, ვერ კიდევ გვაქვს წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემები. პრაქტიკაში ვერ კიდევ არსებობს გამოწვევები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაბამისი სერვისების თუ ბავშვზე მორგებული გარემოს არარსებობით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პროცესის მონაწილეთა კვალიფიკაციის ნაკლებობით არის განპირობებული“.

გიორგი გახარიას განცხადებით: „ჩვენ ყველა, მთელი საზოგადოება, ერთად ვართ პასუხისმგებელი ლუკა სირაძის, მისი ოჯახის წინაშე, რომ წლების განმავლობაში არსებული სისტემური ხარვეზები მინიმუმამდე შევამციროთ“.

პრემიერ-მინისტრი ავალებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები უწყებაში არასრულწლოვანზე მორგებული საგამოძიებო გარემოს შესაქმნელად, უზრუნველყოს არასრულწლოვნებთან მომუშავე გამოძიებლებისა და მეწვეურების სპეციალიზაცია და შესაბამისი კრიტერიუმებით ფორმირებად მერჩევა და განახორციელოს მათი მუდმივი გადამზადება და მონიტორინგი.

პრემიერ-მინისტრი ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებს ავალებს, დაუყოვნებლივ დასახონ სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული, დროში გაზერილი გეგმა და წარმოადგინონ ერთი კვირის ვადაში, ხოლო ოუსტაციის სამინისტრომ წარმოადგინოს საკანონმდებლო ხელვა სახელმწიფოსთან შემხებლობაში მყოფი ბავშვის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის შესაძლებლობაზე.

გიორგი გახარიას განცხადებით, „საქართველოს მთავრობა იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ დაჩქარებს და მაქსიმალურად მოკლე ვადაში წარმართავს ამ მიმართულებით დაწყებულ რეფორმას; პროცესის კოორდინაცია, არასრულწლოვანთა სფეროში მომუშავე პროფესიონალების და ყველა შესაბამისი აქტორის ჩართულობით, განახორციელებს ღია და გამჭვირვალედ. ამაში გვაქვს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორობის მხარდაჭერის იმედი. მიუღებელია მომხდარი ტრაგედიის პოლიტიკური მიზნით გამოყენების ყოველგვარი მცდელობა. ყველამ მაქსიმალურად უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან“.

ტოლერანტობა - თმენა თუ ბააზრება?

ტოლერანტობა არის გააზრება იმისა, რომ ადამიანი ადამიანია და ის წარმოადგენს კაცობრიობას.

10 დეკემბერს მსოფლიო ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. საქართველოში ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იმის ერთგვარი შეჯამებაა, თუ რა კეთდება ქვეყანაში განსხვავებული მიმდებლობისა და შემწყნარებლობის მიმართულებით. ტოლერანტობის დღის აღნიშვნა გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით 1996 წლიდან დაიწყო. ტოლერანტობის კულტურის განვითარებაზე საქართველოში ბოლო წლებში სახელმწიფოსთან ერთად აქტიურად მუშაობენ სამოქალაქო ორგანიზაციებიც, იმ პროგრამებს შორის კი, რომლებიც ამ მიმართულებით ხორციელდება, არის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“.

ჩვენი რაიონის მაცხოვრებლებს მინდა ვისაუბრო. ტოლერანტობის ნათელი მაგალითი დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული რვა ბოზა მოსწავლეა. მათზე ზრუნვა ათი წლის წინ დასრულდა ნანა ჭიჭინაძის ინიციატივით. პროექტის ფარგლებში კარდაპარ დადიანის, მოსწავლეს საჯარო დოკუმენტები, მშობლებსა და ბავშვებს ასწავლეს ქართული ენა და თვლა-ანგარიში. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ ლალი იაკობიძის დიდი ძალისხმევით მოხდა ბავშვების სრული ინტეგრაცია და სოციალიზაცია. ბავშვები მათზე მოგვამართა პირველი პროექტი, ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. შარვან მათ მიიღეს მონაწილეობა სასკოლო საქმეებში. დაიწყო ნო-დარ ღუმბაძის „ქაქაბაძე“ და „ტოლერანტობა“ წლიური საპროექტო კი 23 დეკემბერსა დაიბეჭდოს.

ტოლერანტობა გულისხმობს შემდეგ: მე პატივს ვცემ თქვენი ღირებულებებისა და პრინციპების სისტემას, ვუშვებ მის დამოუკიდებელ არსებობას, რადგან ვაცნობიერებ სხვისი, ჩემგან განსხვავებული არსებობის საჭიროებას, როგორც ჩემი განვითარების პირობას. მაგრამ ამასთან მე მესმის ისიც, რომ ეს სხვა არ შეიძლება იყოს მიღებული ჩემ მიერ სასიცოცხლო ორიენტირად.

ამ სიტყვამ, ისევე, როგორც მრავალმა სხვა სიტყვამ თანამედროვე ზეპირსიტყვიერებაში და ლიტერატურაში თავისი ადგილი ხალხთაშორის ლექსიკაში არც ისე დიდი ხანია რაც დაიმკვიდრა. სიტყვის შინაარსისა და მით უფრო შესაბამისი ქცევის აუცილებლობის გააზრება კი დღესაც არ არის სათანადოდ დამკვიდრებული ამა თუ იმ საზოგადოებაში. ეტიმოლოგიურად სიტყვა უკავშირდება ლათინურ - *tolere*-ს, რაც ატანას (თმენას) ნიშნავს. ლათინური ტოლერანტია-შინაარსობრივი შეხვედრით გულისხმობს მდგრადობასა და ამტანობას, შემწყნარებ-

ლობას და დაშვებას. თავდაპირველად ტოლერანტობის განმსაზღვრელი სიტყვა-ტერმინის არსებობის აუცილებლობა შეიძლება ითქვას, რომ აღმოცენდა ე.წ. სასულიერო წრეებში და ინსტიტუციებში, ვინაიდან დადგა აუცილებლობა იმისა, რომ სხვადასხვა მრწამსისა თუ რელიგიური შეხედულებების ადამიანებს შეეძლებოდათ შედარებით მშვიდი თანაცხოვრება ერთ კონკრეტულ ტერიტორიულ სივრცეში. ხოლო ასეთი შინაარსის მქონე სიტყვა-ტერმინის და მით უფრო ქცევის (ტოლერანტობის გააზრების) არარსებობა იწვევდა მუდმივ დაპირისპირებას სხვადასხვა რელიგიური შეხედულების ადამიანებს შორის. საინტერესოა, ტოლერანტობა, როგორც ასეთი, თანდაყოლილია, შექმნილი (მიმბაძველობასა და შედარებითობაზე დაყრდნობით) თუ ფსიქოლოგიური კონსტრუქციაა, რომელიც წარმოუდგენელია გააზრების გარეშე. ადამიანი ამ ქვეყანაზე გაჩენის (დაბადების) მომენტში არც ტოლერანტულია და არც არატოლერანტული ამ სიტყვის გააზრების თვალსაზრისით, მაგრამ მას ახალშობილს აქვს, ასე ვთქვათ - ბუნებრივი ტოლერანტობა. ის იღებს გარემოს ისეთს, როგორც ის არის. თუ გარემო პირობითად ტოლერანტულია ქცევის თვალსაზრისით, ბავშვისთვის ეს იქცევა ნორმად და ასევე საპირისპიროდ იქცევა. თვითონ ახალშობილი მშობლებს (აღმზრდელებს), იღებს და უყვარს ისინი ისეთები, როგორებიც არიან. საკუთარი მე-სა და სოციალურ შორის არსებითი გამოხვევა/მიკუთვნების ინტელექტუალურ პროცესებში მისთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა მშობლის (აღმზრდელის) კანის ფერს, რელიგიურ შეხედულებებს, სქესობრივი ქცევის თვალსაზრისით კუთვნილობას, პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებებს. ის ბუნებით ტოლერანტულია ამ ყველაფრის მიმართ. კონკრეტული დამოკიდებულება ამა თუ იმ (ერთი შეხედვით, განსხვავებულ, არა ისეთ, როგორც არის ახალშობილის მშობელი, აღმზრდელი) პირის მიმართ მას უყალიბდება გარემოსთან ურთიერთობის, პირველ რიგში კი მის მშობლებთან (აღმზრდელებთან) ინფორმაციულ/ემოციური ურთიერთობის შედეგად, პირობითი კატეგორიებით - ეს კარგია ან - ეს ცუდია, დაშვებისა და აკრძალვების (შეიძლება/არ შეიძლება გზით). ბევრია დამოკიდებული მშობლებს (აღმზრდელებს) გააზრებაზე თუ რას ნიშნავს, რას მოიცავს ტოლერანტობა, როგორც შინაარსობრივად, ისე ქცევითი თვალსაზრისით. ტოლერანტობა ეს ადამიანის აქტიური პოზიციაა, რომელსაც იგი ავლენს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაძლებელია ბავშვს მიმბაძველობით, ანუ შექმნილად (დასწავლის შედეგად), განუვითარდეს ე.წ. ტოლერანტული ქცევისათვის დამახასიათებელი ჩვევები, რაც ამ ჩვევების ჩამოყალიბებისას ბავშვის მიერ არ იყოს გააზრებული (შინაარსის,

მიზნებისა თუ მიზნების თვალსაზრისით) ინტელექტუალურად, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ ასეთი ქცევა დამახასიათებელი იყოს იმ გარემოსთვის, რომელშიც იზრდება ბავშვი.

1995 წელს, პარიზში ხელმოწერილ იქნა ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია, მის თანახმად ტოლერანტობა - „მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა - საინოვანოა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება.“ შეიძლება ვთქვათ, რომ ტოლერანტობა არის შექმნილი მდგრადობა;

გაურკვევლის, უცნობის მიმართ მდგრადობა; კონფლიქტის წინაშე მდგრადობა; მდგრადობა ქცევითი ე.წ. (პირობითი) გადახრისადმი. ეს განსაზღვრებები გულისხმობს განსხვავებული ნაციონალიზმის, რასის, კანის ფერის, სქესის, ასაკის, ინვალიდობის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულების, სოციალური ან ეთნიკური წარმომავლობის, საკუთრების და ზოგადად სხვის მიმართ დამთმენ დამოკიდებულებას.

დამთმენი თუ გააზრებული? ანუ თმენა თუ გააზრება?

მეოცე საუკუნის ენციკლოპედიურ ლიტერატურაში ტოლერანტობა თითქმის ყველგან ასოცირდება თმენასთან, უმეტესად ეს ორი სიტყვა-ტერმინი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება. ვფიქრობ, ტოლერანტობის თანამედროვე აღქმა შეუძლებელია გააზრების გარეშე. ეს არ არის თმენა-თმენისთვის, არამედ გულისხმობს ბევრად მეტს. გულისხმობს გააზრებას იმისა, რომ კაცობრიობა შედგება ადამიანებისგან, ადამიანები ცოცხალი ორგანიზმის სახეობის თვალსაზრისით ერთი სახეობაა, მაგრამ მათ განსხვავებული მე-აქვთ (არა კონსტრუქციის არამედ შინაარსის მიხედვით). სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ადამიანთა პიროვნული ღირებულებები, ღირებულებები, აღქმები,

თვალსაზრისები განსხვავებულია, საზოგადოება, ანუ ინდივიდთა ერთობა, გულისხმობს მრავალფეროვნებას. ტოლერანტობა ამ მრავალფეროვნების, როგორც ბუნებაში არსებულის გააზრებაა, მისი გაგება და მიღება.

ტოლერანტული საზოგადოება ტოლერანტი ინდივიდებისაგან შედგება. ეს საზოგადოება თავის მხრივ, განათლებული საზოგადოებაა, რომელიც პატივს სცემს საზოგადოებაში შემავალ თითოეულ ინდივიდს და აღიარებს მას, როგორც საკუთარი მე-ს აზრისა და ამ აზრის გამოხატვის ავტონომიურების მქონეს, რომელიც მხოლოდ ამრავალფეროვნებს ცხოვრებას, რომელიც ბუნებით



მრავალფეროვნება და მისი შევ-თებრად წარმოდგენა, მხოლოდ ილუზიაა და ეწინააღმდეგება იმას რაც არის. თუმცა, შეიძლება სამყარო რეალურად ცოცხალ ორგანიზმთა თვალის შესაძლებლობებისგან დამოუკიდებლად შევ-თებრია, მაგრამ ცხოვრება, სიცოცხლე - მრავალფეროვნება.

დღეს, როდესაც ხალხი შერეულად ცხოვრობს, როდესაც არც ერთი ხალხი არ შეიძლება ხელოვნურად მეზობლისაგან იზოლირებული იყოს, ერთადერთი საფუძველი, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა რასების, კლასებისა და ინტერესების გაერთიანება და მისცეს ადამიანებს ნება მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოს გარდაქმნაში შეიძლება იყოს ტოლერანტობა, რომელიც მომავალში კატეგორიული იმპერატივი უნდა გახდეს. შემწყნარებლობა საჭიროა ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა დონესა და ყველა ეტაპზე, რადგან ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებაში მშვიდობისა და სიყვარულის დამყარებაში. ტოლერანტობა საჭიროა ოჯახში, ქუჩაში, ოფისში, სამსახურში, მაგრამ პირველ რიგში, რასებსა და ნაციებს, ეთნოსებსა და ხალხებს შორის ურთიერთობებში.

მომამზადა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების
კანდიდატი

უშედეგო დისკუსია

გაგრძელდება საპროტესტო აქციები, პიკეტირება, პოლიტიკური კრიზისი, „ქართული ოცნების“ საერთაშორისო იზოლაცია, თუკი მმართველი გუნდი არ დაეთანხმება სამართლიანი არჩევნების ჩატარების პრინციპს - აცხადებენ ოპონენტები. ოპოზიციურ პარტიათა ერთობისთვის მიუღებელია ხელისუფლების მიერ 20 დეკემბერს წამოყენებული წინადადება - დარჩეს შერეულ საარჩევნო სისტემა მაჟორიტარული და პროპორციული მანდატების განსხვავებული თანაფარდობით.

რა არის მოსალოდნელი მოლაპარაკებების უშედეგო მე-4 რაუნდის შემდეგ? როგორ აღიქვამს „ქართული ოცნების“ შეთავაზებას საერთაშორისო თანამეგობრობა, თბილისისთვის გამოგზავნილი მკაცრი მესიჯების ფონზე?

რას გულისხმობს „ქართული ოცნების“ ინიციატივა?

20 დეკემბერს, მოლაპარაკებათა მე-4 რაუნდის

ფარგლებში, „ქართული ოცნების“ ინიციატივა პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ გაახმოვანა.

ინიციატივის თანახმად:

150-წევრიანი პარლამენტისთვის ხალხი მაჟორიტარული წესით აირჩევს 50 დეპუტატს, ხოლო პროპორციული წესით -100 დეპუტატს;

შეიცვლება მხოლოდ თანაფარდობა (2/3 პროპორციული სასარგებლოდ) და შენარჩუნდება შერეული საარჩევნო სისტემა;

ეს ცვლილება შეეხება არა მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს, არამედ შემდგომ არჩევნებსაც.

ასევე ითქვა, რომ თუკი ოპოზიციური პარტიები მხარს არ დაუჭერენ „ქართული ოცნების“ ინიციატივას, მაშინ ყველაფერი ძველებურად დარჩება - არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდება და პარლამენტში შევა 77 დეპუტატი - პროპორციუ-

ლი წესით, ხოლო 73 დეპუტატი - მაჟორიტარული წესით.

ოპოზიციამ, რომელიც მოლაპარაკებათა მაგიდასთან ერთად ფრონტს წარმოადგენს, ხელისუფლების ინიციატივა მალევე დაიწუნა.

ოპოზიციის თვლით, რომ „ქართული ოცნების“ ინიციატივა კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ის არ ასახავს საზოგადოების მთავარ მოთხოვნას - არჩევნების სამართლიანი სისტემით ჩატარების შესახებ.

„ეს წინადადება სერიოზულად განხილვადი არ არის - რადგან თამაშის წესს არ ცვლის არსებითად... რეალური ნაბიჯი უნდა გადადგან და უკან წაიღონ შეურაცხყოფა, რაც ხალხს მიაყენეს... თუ არ მიხვდებიან, ქვეყნის შიგნით პროტესტი ხომ გაგრძელდება და გარეთაც იზოლაცია გადრმავდება, რასაც ხედავთ“ - გიგა ბოკერია, „ევროპული საქართველო“;

„panem et circenses“ — ძველ რომაელი პოეტის, იუვენალის მე-10 სატირის დასაწყისი, მაშინდელ ლათინთა ყოფის აღსანიშნავად ნათქვამი, რაც ოდინდელ გმირულ წარსულზე სავარაოოდ დასცდენია გვიოსს:

„iam pridem, ex quo suffragia nulli uendimus, effudit curas; nam qui dabat olim imperium, fasces, legiones, omnia, nunc se continet atque duas tantum res anxius optat, panem et circenses“ - ამ ხალხმა უკვე ყველაფერი დაივიწყა. და რომი, რომელიც ოდესღაც ყველაფერს გასცემდა: ლეგიონებს, ძალაუფლებას, ლიქტორებს (და ა.შ.), ახლა მხოლოდ ორ რამეზეა ოცნებობს, მოუსვენრად — პურზე და სანახაობებზე.

შემდგომში, რომში ეს გამონათქვამი „პური და სანახაობები“ - სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკის დასახასიათებლად გამოიყენებოდა, რომლებიც პლენებს რომ მოისყიდდნენ, ფულის და პროდუქტების დარიგებით, ცირკისმირი (გლადიატორული ბრძოლები და ა.შ.) სანახაობებითაც იპყრობდნენ მათ კეთილგანწყობას და ინარჩუნებდნენ (ან ახლიდან ხელთ იღებდნენ) ხელისუფლებას. პროდუქტებზე სუბსიდირების შესახებ ე.წ. „პურის კანონი“ ჯერ კიდევ ძვ.წ.ა. 123 წელს გახსოვრებულია ძველ რომში.

თანამედროვე პოლიტიკაში ეს გამოთქმა გამოიყენება ნეგატიური აზრით - არჩევნების წინ ამომრჩეველთა მოსყიდვის და პოპულარიზმის გაგებით. საქართველოც ოდესღაც დიდი დემირული იყო. კულტურის და ცივილიზაციის კერაც გახლდათ და ხალხიც შეგნებულნი და დიდებული ჰყავდა. დრონი ხავიდნენ. პურიც უკვე 25 წელია სანატრელია და, ძველ რომაელ ხელისუფლებამ განსხვავებით, არც არავინ ფიქრობს მის გაცემას-თვით ვმოულობთ, 21-ე საუკუნის მონები, ემიგრაციებში გადაკარგულნი - აი, სანახაობა კი, კვლავ ძალაშია - ცირკს მომხიბვლელთა ჯერ კიდევ არ დაუქარავს.

ისე, ჩვენს გვერდითაც მიმოვიხედოთ და საკუთარ თავსაც შევხედოთ, ხანდახან, გვერდიდან — იქნებ ჩვენც იმ პლენების დონემდე დავედით, პური და სანახაობები რომ აინტერესებს, მხოლოდ? - მაშინ, ნულარავესლა გავამტყუნებთ - ექსკლუზიურად ამის ღირსი ვყოფილვართ და მორჩა!


დღევანდელი რეალობა ასეთია, პური თავად უნდა მოვაპოვოთ, სანახაობის ნაკლებობას კი ნამდვილად ვერ დავიჩვენებთ. დრო-ჟამი იცვლება, საზოგადოების გარეგნული იერსახეც. იცვლება ადამიანთა მენტალიტეტი, დამოკიდებულება ღირებულებებისადმი. უცვლელია ცნობიერი და ქვეცნობიერი, რომელზედაც თავიანთი მოსაზრებები გააჩნიათ ფსიქოლოგებს. საზოგადოება ნელ-ნელა გახდა ცივილიზებული? ამასობაში დაიხვეწა მმართველობის ფორმები, უფრო ოსტატურად ძეიფუთა ბევრი რამ.

ჩვენი საზოგადოება რომაულ იმპერიას დაემსგავსა, სადაც პური და სანახაობა აკმაყოფილებდა ადამიანის ბუ-

„პური და სანახაობა“

ნებას და ადვილად სამართავი ხდებოდა ნებისმიერი ძალისთვის. შეგიძლიათ, გაიაროთ ქუჩებში, დაუსვათ გამველვლებს ნებისმიერი კითხვა რაიონის ან საქვეყნო პრობლემებზე და ნახავთ, როგორ „აგობუებენ“ ცხვირს, ან ხელს აგიქნევენ, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება, შეყოვნდნენ და ორიოდ სიტყვაც გინყალობონ, მაგრამ არა - კონკრეტულად შენს მიერ დასმულ კითხვაზე. ძალიან ხშირად გვიხდება მსგავსი მაგალითების საკუთარ თავზე გამოცდა. თუმცა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ყველა მოქალაქე ამგვარ ინერტულ პოზიციას ამჟღავნებს, არიან ქვეყნის პრობლემებით შეწუხებული ადამიანებიც, რომლებ-

დალილი ხალხი საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად ვეღარ იცლის და ეს ინვესსწორედ არამართო ინერტულობის პრობლემას, არამედ თითოეული ადამიანის ფსიქიკურ დაძაბვასაც. ასევე, მნიშვნელოვანია ინფორმაციის ნაკლებობაც ამ კუთხით. განვითარებულ ქვეყნებსაც ჰქონდათ მსგავსი პრობლემები თავის დროზე და მათ გადალახეს. იგივე მდგომარეობა იქნება, ალბათ, ჩვენთანაც. გარკვეული უნდობლობა და გულგატეხილობა ჩამოყალიბდა ადამიანებში ამ წლების განმავლობაში ხელისუფლებისა და საკუთარი თავის მიმართ, მათ არ აქვთ საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება. ეს თვითგამორკვევის პროცესია, პასუხისმგებლობის გრძობის ამაღლება უნდა მოხდეს საზოგადოების წევრებს შორის.



ბიც ყველა გზით ცდილობენ გულისტკივილის გამოხატვას, მაგრამ სხვა საქმეა, ვის ესმის მათი...სამწუხაროა, რომ არც ჟურნალისტების სიტყვა ფასობს დიდად. ქვეყნის მმართველობამ მიიღო ასეთი ფორმა: „ბაბლი ჰეზს, ძარაპანი მიღის.“ საზოგადოების ამგვარი გულგრილობა და ინდიფერენტულობა ბევრი პრობლემის საფუძველი და მიზეზი ხდება, როგორც ჩვენი რეალობა გვიჩვენებს. ფილოსოფიური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, გულგრილობა - ეს სიკეთის უარყოფის ერთ-ერთი გამოვლინებაა და სიკეთის უარყოფა კი ბოროტება ყოფილა. ე.ი. თუ გულგრილი ხარ - ხარ ბოროტიც.

საზოგადოების ინდეფერენტულობას ბევრი ფაქტორი გახასხღვრავს, მათ შორის მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური გარემოება, რაც არც თუ ძალად ღონეზეა ჩვენს ქვეყანაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ფსიქო-თერაპევტი, ექიმი ამოსანდლო არპოლიმპილი ამბობს: „ყოველდღიური დაძაბული და გა-

არ ვიცი, რამდენი წელი დასჭირდება ამ პროცესს, მაგრამ შედეგი აუცილებლად უნდა დადგეს, ადრე თუ გვიან.“

სამწუხაროდ, საზოგადოების ინერტულ ფენას არ აინტერესებს ანმყო, შესაბამისად არც მომავალი, მისტიკის წარსულს და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს. ამგვარ ადამიანებში შემოქმედებითი იმპულსი ჩამკვდარია და ვერც სხვაში აფასებენ ამგვარ ღირებულებას. კარგავენ ადამიანურ სახეს და ადამიანურ იდეალებს. მთავარი ხდება, „რა ვჭამოთ და რა ვცვათ. ისინი შემდეგ უკვე ბრბოდ იქცევიან. ბრბოს ფსიქოლოგია კი, თავისთავად, დაღწევისკენ უბიძგებს ერს.

ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა მირაბ ბეზუაზაძემ აღნიშნა: „ყველა ქვეყანა ვალდებულია, გაუფრთხილდეს მორალურ ღირებულებებს და ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ყველაზე დიდი კაპიტალი სწორედ ეს არის. მმართველი ძალიან ბრყვი უნდა იყოს, რომ ასეთი საზოგადოება აწყობდეს, ეს ყოველთვის იძლევა მოკლევადიან შედეგს, აი, დღეს და ხვალ იმოქ-

მედებს, მაგრამ შემდეგ დაგროვდება და ისეთსავე ვითარებას მივუღებთ, როგორც ახლა არაბულ სამყაროშია. თუ ხელისუფლებას ასეთი რამ აწყობს, მაშინ ეს დღევანდელი კვერცხის და ხვალინდელი ქათმის ამბავი ყოფილა და ეს უბედურებაა, თავისთავად. ქვეყანაში ყველაფერი დაბალანსებული უნდა იყოს, რომ გვეყვდეს უფრო ძლიერი და ნიდახედული ოპოზიცია, საქმე ბევრად უკეთესად იქნებოდა. ოპოზიცია კი ჩვენთან ასე ესმით: უნდა ჩამოაგდონ მთავრობა და თვითონ მოვიდნენ სათავეში, ეს კი არ არის ოპოზიციონერობა. სჯობს, კაბინეტში დასხდნენ და ელპარაკონ ხელისუფლების წარმომადგენლებს, კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯები გადადგან პრობლემების მოსაგვარებლად, მიუთითონ როგორ სჯობს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა. ქუჩიდან ყვირილით და მიტინგებით საქმე არ კეთდება. არც მტრულად განწყობილი ქვეყნის ლიდრებთან გაქცევითა და დახმარების თხოვნით, ასეთ ოპოზიციას ხალხი არ ენდობა და არც გაჰყვება. ოპოზიციისა და ხელისუფლების მიზანი ქვეყნის კეთილდღეობა უნდა იყოს. შეუზღუდავი ხელისუფლება უმოკლეს ვადაში რყვის საზოგადოებას, ამას მაკიაველი ამბობდა. თუ ოპოზიცია არ ვარგა, ეს ხელისუფლების დანაშაული არ არის. მაგრამ ასეთი ოპოზიციის პირობებში ეს ხელისუფლება რაც არ უნდა კარგი იყოს, აუცილებლად გაფუჭდება ადრე თუ გვიან.“

და სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის პოზიციაც და ოპოზიციაც მხოლოდ სანახაობაა! ყოველი დღე სანახაობით იწყება და სანახაობით მთავრდება. ყოველი დღე სანახაობის „ხარისხით“ ფასდება, რადგან ამ ქვეყანაში ყველაზე მთავარი, არსებითი და განმსაზღვრელი, ისევ სანახაობაა!

უანბრობრივი მრავალფეროვნება სანახაობისა: კომედიას, დრამა ცვლის, დრამას მიუზიკლი, მიუზიკლს მელოდრამა... არის თემატური მრავალფეროვნებაც და რაც მთავარია, არის მოტივი და სურვილი, არის აუცილებლობა - თამაშისა...მუდმივი თამაშისა! მთელი ქვეყანა დაემსგავსა ერთ დიდ ავანსცენას, სადაც თამაშობენ და ოცნებობენ ხმამაღლა, მტკიცებით ფორმადი, ოცნებობენ რეალობის სახელით და ილუზიურ სამყაროში ეპატიჟებიან, ილუზიურ სამყაროში „ატყვევებენ“ საკუთარ ხალხს. ხალხს კი მუდმივად უნდა პური და სანახაობა!

პური არ არის, ამიტომ სანახაობა მაინც უნდა იყოს და თანაც რაც შეიძლება ბევრი. იციან და თამაშობენ კიდევ და როგორც სცენაზე გმირის მანტია მოხვეული ტაკიმასხარის გამორჩენას სჩვევია, „აუდიტორიაშიც“ (რომელიც ქართველი ერისგან შესდგება), ერთნი ალტკინებულ ტაშს უტარავენ, მეორენი კი - პროტესტის ნიშნად უტარებენ „დარბაზს“. უბედურებაც ისაა, რომ ეს „დარბაზიც“ საქართველოში დგას, ეს ავანსცენაც, ეს საგრიოლოც, ეს კულინარიც და ეს დეკორაციებიც!

პ.ს. რა არის ეს, თუ არა ძარბაზული ბის შეგნებული და მიზანმიმართული ბენეცილინი?

მომზადდა
ნათუნა პინაპილიძე

ყოველთვიური ხელფასი-„მაგნიტის“ და გადის სარეჟისარი

მალაზიების ქსელი „მაგნიტი“, ჩვენს რაიონში თითქმის წელიწადია, რაც შემოვიდა. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე და და პერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე განთავსებულ სასურსათო მალაზიებს მომხმარებელი თავიდანვე არ აკლდა დაბალი ფასების და სხვადასხვა პროდუქტზე ფასდაკლების აქციების გამო, თუმცა, როდესაც ქსელმა გაათამაშების ბილეთების გაცემა დაიწყო, ხალხი უფრო მეტად დაინტერესდა და მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად სჯეროდათ გაათამაშების დოლურაში ჩვენს მალაზიებში შეგროვებული ბილეთების მოხვედრისა. მალაზიებში დადგმული ბილეთების შესაგროვებელი ყუთები კი ინტენსიურად ივსებოდა და იცლებოდა. ცდა ბედის მონახვევრა, მაინც ვყიდულობთ პროდუქტს და ბარემ ბილეთიც მივიღოთ, მით უმეტეს, რომ 1 ბილეთი, სულ რაღაც, 10 ლარის ნაჯაჩრზე ეძლეოდა მომხმარებელს. ბილეთზე მითითებული გაათამაშების თარიღი-14 დეკემბერიც დადგა და, ვინც ამ გაათამაშებას უყურა ტელეკომპანია „იმედის“ არხზე, აშკარად დარწმუნდებოდა, რომ ეს ყველაფერი მართლაც მხოლოდ ბედსა და იღბალზე ეკიდა. გაათამაშების ობიექტურობაში იმანაც დავარწმუნა, რომ 2.000 ლარანი ყოველთვიური ხელფასი ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა თანამემამულემ, დეოფოლისწყაროელმა თამარ დიასმიძემ მიიღო, თუმცა ტელეფონის მის მაგიერ მისმა მეუღლემ - ზაურ პოპიაშვილმა უპასუხა: „გათამაშებას მთელი ოჯახი ველოდებო-

დით და თვალსაც ვაფიქრებდით, მაგრამ სწორედ იმ მომენტში მე ოთახში არ ვიმყოფებოდი, ამიტომ ჩემს ტელეფონზე ჩემმა მეუღლემ უპასუხა. ეს იყო დიდი გამართლება და სიხარული. როცა ხელში



ორასამდე ბილეთი გიჭირავს, სადაც იმედოვნებ, რომ შესაძლებელია, მოიგო, თუმცა, როდესაც გაათამაშების წამყვანმა დუტა სხირტლაძემ გამოაცხადა, 4 მილიონი ბილეთი არის მოთავსებული დოლურა-

შიო, ვიფიქრე, საქმე ცუდად არის-მეთქი, მაგრამ, მოხდა სასწაული და უფლის წყალობით, ეს ბედნიერება ჩემს ოჯახს ერგო. ტყუილად არ ამბობენ, დაღმართს აღმართი მოსდევს და იმედი არ უნდა დაკარგო, ღმერთი მოწყალეა და რაღაც გზას მოგვცემსო.

ჩვენც ასე მოგვივდა. პატარა ჩვენი ქალაქი და ალბათ, უმრავლესობამ იცის, რომ ჩვენ კაფე-ბარ „მანდარინს“ ვამუშავებდით. ამდენი ბილეთიც სწორედ ამიტომ გვეტონდა, რომ ბარისთვის ჩვენს გადასწვრივ, პერეთის ქუჩაზე მდებარე სასურსათო მალაზია „მაგნიტი“ ვყიდულობდით პროდუქტს. ამ დროისთვის ბარის მუშაობა შეჩერებული გვაქვს, რადგან ბოლო თვეები, ზარალს განვიცდით. მოსახლეობისაგან განსხვავებული მაღალი კომუნალური გადასახადები- გაზის, დენის, წყლის, მიძიმე ტვირთად აწვევა მცირე მენარმეს. ამასთან, მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან გაუჭირდა, ქალაქში ახალგაზრდობა, ვინც კაფე-ბარის პოტენციური მომხმარებელია, თითქმის არ არის, ვაჭრობა დაბალია და ეს ყველაფერი

განაპირობებს ზარალს. ამიტომ, იძულებული ვაგხდით, მიგვეტოვებინა ეს საქმიანობა. მე პროფესიით დიზაინერი ვარ და ამ ბარის ინტერიერის თუ ექტერიერის შექმნაში მთელი სული და გული ჩავდე, ოჯახმა სულ საკუთარი ხელით ვაშენეთ ეს ყველაფერი. ძალიან დამწყდა გული, საქმიანობა რომ შევწყვეტით, მაგრამ ღმერთმა არ გაგვიწირა და სულის მოსათქმელად ჩვენს ოჯახს ეს „საჩუქარი“ გაუკეთა. ეს დღეს ჩვენ პაერივით გვჭირდებოდა. მადლობა მალაზიათა ქსელ „მაგნიტს“, მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გულწრფელად გაიზარა ჩვენი სიხარული, -ამბობს თამუნა და სიხარულს ვერ ფარავს.

15 დეკემბერს თამუნას კომპანიიდან დაუკავშირდნენ და ოჯახით მიიწვიეს საზეიმო შეხვედრაზე, სადაც გადაეცა ვაუჩერი, რომელიც 2020 წლის იანვრიდან დაიწყებს მოქმედებას და მთელი წელი გაგრძელდება. შეხვედრაზე ნასვლას სულმოუთქმელად ელოდებოდა პატარა ვატო, რომელიც დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა სახლში. ბედნიერი ახალი წელი ვუსურვოთ პოპიაშვილების ოჯახს, სულ ასეთი კმაყოფილები და გახარებული ყოფილიყვნენ.

როგორც „მაგნიტის“ მესვეურები აცხადებენ, მომავალ წელსაც მრავალ საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებას ჰპირდებიან მომხმარებელს.
ნაირა გორაშვილი

საშიში სამკაულები

სამკაული ყველა ჩვენგანისთვის საყვარელი აქსესუარია და ყველგან შეგვიძლია მისი შექმნა, მაგრამ იშვიათად თუ შევხვდებით სამკაულებს, რომლებსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაც უფრო მნიშვნელოვანსა და განსაკუთრებულ ხდის ადამიანს.

მიმაჩნია, რომ საუკეთესო სამკაული ის, რომელიც ახლოსაა შენს ხასიათთან, რომელშიც შინაარსის ჩადება შეგიძლია. სულ რამოდენიმე ხნის წინ სატელევიზიო ეთერებში და ინტერნეტ სივრცეში ახალი კამპანია წამოიწყო „საშიში სამკაულები“ წინააღმდეგ: „ერიდეთ სამკაულს! აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი შიშისა. მოსახლეობა აცხადებს, რომ მათი ჯანმრთელობა არცერთ სექტორში დაზღვეული არაა. არ ვიცით, როგორ საკვებს მივირთმევთ, არ ვიცით, რომელ მედიკამენტს მივიანიჭოთ უპირატესობა, არ ვიცით, რომელი სათამაშო ვუყიდოთ ბავშვებს. ამ ჩამონათვალს ახლა ქალების სამშენისებიც ემატება. თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შექმნილი 29 დასახლების სამკაულიდან 12 ნიმუში ჯანმრთელობისთვის საშიში აღმოჩნდა. ამის შესახებ ინფორმაციას „სტატუსტრიკის“ კვლევებისა და ბანკინგის ცენტრი“ (momxmabelli.ge) ავრცელებს. ორგანიზაციის ცნობით, სამკაული კადმიუმისა და ტყვიის შემცველობაზე შესამოწმებლად

აშშ-ის ლაბორატორიაში - MSR Laboratories გაიგზავნა. კვლევის შედეგად კი, 12 ნიმუში ჯანმრთელობისათვის საშიში აღმოჩნდა. მათივე ცნობით, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ფირმის მიერ წარმოებული პროდუქცია, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს რიგითი მოქალაქეებისათვის, შემთხვევითი შერჩევით შეისყიდეს. საქართველოში ბიჟუტერიასთან დაკავშირებით უსაფრთხოების მოთხოვნები არ არსებობს. ამიტომაც ნიმუშები ევროკავშირში მოქმედი ნორმების მიხედვით შემოწმდა. „კვლევის შედეგად, 12 ნიმუში არ შეესაბამება ევროკავშირში არსებულ მოთხოვნებს. ზოგიერთ მათგანში კადმიუმის ან ტყვიის შემცველობა რამდენიმე ათეულჯერ, ან ასეულჯერ აღემატება დაშვებულ ნორმებს, ხოლო ზოგიერთში იმდენად მაღალია, რომ ლაბორატორიის მონაცემების მიხედვით



ზუსტი გაზომვა ვერც კი შეძლო (ასეთი შედეგები ლაბორატორიის ოქმებში აღნიშნულია სიტყვით -შატურატელ). ჩვენ სისტემატურად ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ საქართველოში სამომხმარებლო პროდუქციის უმეტეს ნაწილზე უსაფრთხოების სახელმწიფო კონტროლი მრავალი წელია არ მოქმედებს. ამგვარად, საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაუცველია. მოცემული კვლევა კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად გადადგას ქმედითი ნაბიჯები. კადმიუმი და ტყვია ორგანიზმში სხვადასხვა გზით შეიძლება მოხვდეს, მათ შორის, პროდუქციის მოხმარების დროს.

ეს ლითონები გროვდება სხეულში და სხვადასხვა ორგანოების დაზიანებას იწვევს. კადმიუმი ხელს უწყობს სიმსივნის წარმოშობას, ფილტვების, თირკმელებისა და ძვლების დაზიანებას. ტყვია აზიანებს ტვინს, თირკმელებს, ღვიძლს, გულ-სისხლძარღვთა და რეპროდუქციულ სისტემას,“- აღნიშნულია momxmabelli.ge-ს კვლევაში. რედაქცია დაინტერესდა და შევეცადეთ, შეესაბამისი უწყებებიდან მიგველო ინფორმაცია, თუ რა პრევენციული ზომები ტარდება დღეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, როგორ ხორციელდება სამომხმარებლო პროდუქციაზე უსაფრთხოების კონტროლი და რა მექანიზმების ამოქმედება უზრუნველყოფს მსგავსი ფაქტების აღმოფხვრას, თუმცა, ჯერჯერობით ვერცერთმა უწყებამ აღნიშნულ პრობლემაზე შესაბამისი პასუხი ვერ დაგვიბრუნა. ვფიქრობ, ისლა დაგვრჩენია, სპეციალური თანდართული ხარისხის ნიშნის მაჩვენებლების გარეშე სამკაულების შექმნისგან თავი შევიკავოთ, მანამდე, სანამ მოსახლეობა გარანტიას არ მივიღებთ, რომ აღნიშნული პროდუქცია არ შეიცავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშ ნივთიერებებს!

მომზადდა ელზა ხარაშვილი

პაატა იმნაძის ინფორმაციით, გრიპის სამივე ქვეტიპი გამოჩნდა, დაავადების შემთხვევების მატება ბოლო ორი კვირის განმავლობაში შეინიშნება

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელის პაატა იმნაძის განცხადებით, გრიპის ვირუსის შემთხვევების მატება ბოლო ორი კვირის განმავლობაში შეინიშნება, თუმცა ეს მატება წინა წლებთან შედარებით ნაკლებია. როგორც იმნაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ დროისთვის ქვეყანაში გამოჩნდა გრიპის სამივე ქვეტიპი. „მეორე კვირაა მატება დაწყებულია. ჯერჯერობით გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შარშან და შარშანწინ იყო ავადობა, ჰოსპიტალიზაცია ნაკლებია, გამოჩნდა გრიპის სამივე ქვეტიპი. წამყვანია

B ტიპის ვირუსი და ცირკულირებს ასევე H3 და H1, თუმცა წამყვან ვირუსად რჩება რონოვირუსი, უფრო სურდოთი და მსუბუქად მიმდინარეობს. ასევე ცირკულირებს რესპირატორული ვირუსები, ასევე ადენო და ენტეროვირუსები. შესალოა, ნებისმიერმა ვირუსმა გამოიწვიოს გართულება“, - განაცხადა იმნაძემ. მან პრევენციის ზომებზეც ისაუბრა და რეკომენდაციები გასცა. მისი ინფორმაციით, რისკჯგუფებში მყოფი ადამიანებიდან უკვე 90 ათასი, ხოლო კერძო სექტორში 40 ათასი ადამიანი აიცრა. იმნაძის რეკომენდაციის მიხედვით აუცილებელია, ავადმყოფი ადამიანის სახლში

დარჩენა, ხელების ხშირი დაბანა და ხალხმრავალ ადგილებში ყოფნისგან თავის შეკავება. „90 ათასი ადამიანი აცრილი სახელმწიფო პროგრამით, ეს არის მაღალი რისკ ჯგუფის ადამიანები. დაახლოებით 40 ათასი ადამიანი კერძო სექტორში. აცრა ყოველთვის შეიძლება. რეკომენდაცია ის არის, რომ ავადმყოფი უნდა იყოს სახლში, რომელიც მსუბუქ მდგომარეობაშია და დადის, არის გამაგრებული. ხელების ხშირად დავებანოთ და მოვერიდოთ დახურულ სივრცეებში ხალხმრავალ ადგილებში ყოფნას“, - განაცხადა იმნაძემ.



ცოტნე გამსახურდია დაჭრეს

თბილისში, გალის ქუჩაზე, საკუთარ სახლთან საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი, ცოტნე გამსახურდია დაჭრეს. მას ამ წუთებში ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში ოპერაცია უტარდება, ექიმები ყველაფერს აკეთებენ მის გადასარჩენად. არსებული ინფორმაციით, ცოტნეს ჭრილობა გულმკერდის არეში აქვს მიყენებული და ის სასწრაფოს ბრიგადამ უგონო მდგომარეობაში შეიყვანა კლინიკაში. სავარაუდოდ, ის დანით არის დაჭრილი. არსებული ინფორმაციით, დღეს საღამოს უბანში კონფლიქტი მოხდა და ამ დროს დაჭრეს ცოტნე გამსახურდი. როგორც გამსახურდიების ოჯახთან დაახლოებულმა

ადამიანმა გვითხრა, ერთ-ერთი ვერსიით, ცოტნე დავით ბაჯელიძემ დაჭრა. მომხდარით ყველა შოკირებულია. როგორც ამბობენ, ეს ის დავით ბაჯელიძეა, რომლის დაჭრაში წლების წინ ცოტნე გამსახურდიას დასდეს ბრალი და ამ ბრალდებით ის დაკავებულიც იყო. თუმცა სასამართლოზე მაშინ დაზარალებული დავით ბაჯელიძე ირწმუნებოდა, რომ ცოტნესთან არანაირი კონფლიქტი მას არ მოსვლია და ის ცოტნეს არ დაუჭრია. ბაჯელიძე აცხადებდა რომ ცოტნე და ის უბნელები და მეგობრები იყვნენ. ცოტნე გამსახურდიას დაჭრის ფაქტზე გამოძიება 19-108-ე განზრახ მცდელობის მუხლით დაიწყო, ახლა სამართალდამცავები და-

ადგენენ საქმის დეტალებს და იმედია, დამნაშავე დაისჯება. ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავინდებურად მძიმე რჩება, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ხეჩინაშვილის კლინიკის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ კვაჭაძემ განუცხადა. „პაციენტის მდგომარეობა ამ წუთისთვის, დილასთან შედარებით არ შეცვლილა. კვლავინდებურად მძიმე რჩება. გრძელდება მკურნალობა იგივე მოცულობით, რაც იყო დილით. გართულებას ამ ეტაპამდე ადგილი არ ჰქონია“, - განაცხადა კვაჭაძემ.

მონატრება

ბია ხარაშვილი

ჩემო საყვარელო გია, ცხრა თვე ტკივილიანი და ცრემლიანი დრო გავიდა შენი დაღლილი და სპეტაკი სულის სამუდა-

მო სასუფეველში დამკვიდრებიდან. გია, შენ ხომ ძალიან კარგი მამა იყავი და მოუთმენლად ელოდი ახალი წლის არდადეგებს, რათა შენს ერთადერთ საყვარელ შვილთან გაგეტარებინა ეს დრო. გია, პირველი ახალი წელი იქნება, შენ რომ არ მოხვალ ჩემთან ღიმილიანი. პირველი ახალი წელი იქნება, რომ ყველა შენი ახლობელი მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან უდიდესი გულისტკივილით. ჩემო ალალმართალო,

სპეტაკო, უღალატო და უღალესად თავმოყვარე ადამიანო, ყველასთვის კეთილო, გარდა შენი თავისა. გია, სადაც ხარ, მანდ გილოცავ ახალ წელს, ვაი ჩვენი უშენოდ დარჩენილებს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ და უზომოდ მენატრები, გია! ჩემი მუდმივი ტკივილი ხარ, მოუშუშებელი იარა. თურმე რა ცოტა სიხარული გქონია, ჩემო საყვარელო და სიცოცხლით აუსრულებელო, გია! უდიდესი მონატრებით, შენი მამიდაშვილი თამარი.

ჯიმი, ლალი, გია და ლია ალუღიშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნაწული სხვიტარიძე- ხარაშვილს შვილის, თემურ ხარაშვილს დის მანა ხარაშვილის გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ახსადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რეგულირებადი ძონების

პრივატიზაციის მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძონები:

Table with 9 columns: Lot No, Object Name, Auctioneer Name, Lot Area, Plot Area, Number of Lots, % of Lots, % of Area, % of Value. Contains 5 rows of lot information.

Table with 9 columns: Lot No, Object Name, Auctioneer Name, Lot Area, Plot Area, Number of Lots, % of Lots, % of Area, % of Value. Contains 5 rows of lot information.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- 1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 201122900; სახელმწიფო საზღვარ-220101222; კოდი- 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი) კოდი- 300 533 047 (მიწის ნაკვეთის იჯაროდან მიღებული შემოსავალი) კოდი- 300 533 212 (შენობა-ნაგებობების იჯარა);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი

სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით. აუქციონში მონაწილეს, შემთხვევაში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ძონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40
სააუქციონო კომისია

წელიწადი!
წინა აუქციონი!
წინა, ჩვენ ათეული წლები ერთად ვმუშაობდით და ერთმანეთის ჭირის თუ ლხინის გულწრფელი გამოზიარებლები ვიყავით. დღესაც სიამოვნებით ვისხსენებთ შენს დაბადების დღეებზე გატარებულ დროს და არასდროს გვაგინებდა მოგილოცოთ ეს დღე. გისურვებთ ჯანრთელობას, მხნეობას, ბედნიერ და ლამაზი დღეების სიმრავლეს. კვლავაც ძველებური სიყვარულით და პატივისცემით გვინდა მოგეფეროთ და გავისხენოთ, რომ სულ სხვა ხიბლი, გულწრფელობა და სითბო იყო იმ დროს ჩვენს ორგანიზაციაში და, ზოგადად, საზოგადოებაში. ამასთან, უფრო ახალგაზრდებზე ვიყავით და სიცოცხლე გვიხაროდა, თუმცა, არც დღეს უნდა დავივიწყოთ ერთმანეთი.
პატივისცემით,
ყოფილი სოფლის მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლები: შალვა თეთვაძე, ჯემალ კვანჭილაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, მერაბ რობიტაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, თამაზ ჯანიკაშვილი, ყუყუნა კოჭლამაზაშვილი, მაყვალა ჯორჯოშვილი, თამარიკო პაპაჩაშვილი

მადლიერება
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მე-3 კლასის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები იმყოფებოდნენ სასწავლო-მეცნიერებით ექსკურსიაზე პედაგოგ ჟანა ბაბაიანის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებაში განუწყობიერებდნენ უანგარო დახმარებისათვის, პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას(აიაპ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს და მის დირექტორს ბატონ აკაკი ნატროშვილს. რომ არა მისი პროფესიული და პიროვნული თანადგომა, ეს ექსკურსია არ შედეგობდა. ასევე დიდი მადლობა ნოდარ ჩერქეზიშვილს უსაფრთხო მგზავრობისთვის.
მომავალი თაობა არის საქართველოს ყველაზე დიდი სიმდიდრე და მისთვის, რომ ეს კარგად ესმით და აცნობიერებენ ჩვენს მუნიციპალიტეტში.
კიდევ მრავალი ბავშვი გაგებარებინოთ!
სორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მმართველი

ამინდი
ორშაბათი 23.12 დღე ღამე 4°
სამშაბათი 24.12 დღე ღამე 10° 6°
ოთხშაბათი 25.12 დღე ღამე 12° 6°
ხუთშაბათი 26.12 დღე ღამე 8° 3°
პარასკევი 27.12 დღე ღამე 6° 2°
შაბათი 28.12 დღე ღამე 2° 0°
კვირა 29.12 დღე ღამე 1° 0°

გამომცემელი შპს „შირაპი“
სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანჭაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სოლო პრესის“ სტამბაში.
რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.